საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1404
02/03/2023

1404-21-2-202303021824

სს „აჭარის წყლის ალიანსს“
მის: კ. გამსახურდიას ქ. N1, ბათუმი, საქართველო
ელ.ფოსტა: lnfo@awa.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი 2023 წლის 9 თებერვლის N33 განცხადება, რომელიც ეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ოჩხამურში გამწმენდი ნაგებობის (N1) და წყალარინების სისტემის მშენებლობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული, მათ შორის, სააგენტოს 2022 წლის 24 ნოემბრის N21/7173 წერილში მითითებული საკითხები, კერძოდ:

- როგორც სკოპინგის დასკვნით გეცნობათ, ქობულეთის დაცული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ უნიკალურ ტორფნარზე შესაძლო ნეგატიური გავლენის თავიდან ასარიდებლად მიზანშეწონილი არ არის N1 გამწმენდი ნაგებობის განთავსება განხორციელდეს პირველი (შერჩეული) ალტერნატივის შესაბამისად, რომელიც ქობულეთის დაცული ტერიტორიებიდან დაშორებულია 40 მეტრით. გზშ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაციის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება მოხდება მხოლოდ სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შეთანხმების შემდეგ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იყოს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ანგარიშის თანახმად ,,პროექტით გათვალისწინებულია ფრანგული ტიპის ვერტიკალური ჰიდრობიოტანიკური ნაკადის მქონე მოედნების მოწყობა ერთფილტრიანი საფეხურით. ეს ტექნოლოგია იძლევა საშუალებას, რომ საჭიროების შემთხვევაში მომავალში გაუმჯობესდეს გაწმენდის პროცესი (მეორე ფილტრის ეტაპი: ბიოლოგიური ფილტრის დამატება, ფილტრის შრის გაორმაგება, აერაცია და ა.შ.)”. დაზუსტებას საჭიროებს გაწმენდის პროცესის - მეორე ფილტრის ეტაპის შესახებ დეტალური მონაცემები და რა შემთხვევაში მოხდება მისი გამოყენება. ასევე დასაბუთებას და დეტალურ განხილვას საჭიროებს აღნიშნული გაწმენდის პროცესის გამოუყენებლობის საკითხი;

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, „მილსადენის დერეფანი ნაწილობრივ გადის სატყეო ტერიტორიაზე. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მილსადენის მოწყობის სამუშაოები შეთანხმდება ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან“, თუმცა წარმოდგენილი Shp ფაილებისა და გენ-გეგმის მიხედვით მილსადენის დერეფანი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- ზდჩ-ის ნორმების პროექტის “ჩამდინარე წყლების ხარისხობრივი მდგომარეობა გაწმენდამდე და გაწმენდის შემდგომ“ ცხრილსა და გზშ-ის ანგარიშის 3.3.2 ცხრილში წარმოდგენილი დაბინძურების დატვირთვის მაჩვენებლები საჭიროებს დაზუსტებას და კონცენტრაციებთან შესაბამისობაში მოყვანას;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემული ჩანაწერი - „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების საფუძველზე გაიცა სკოპინგის დასკვნა“ საჭიროებს კორექტირებას, ვინაიდან აღნიშნულ საქმიანობაზე სკოპინგის დასკვნა გაცემულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ;
- ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ერთიანი ცხრილის სახით, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული ინფორმაცია, ასევე გზშ-ის ანგარიშის უშუალო ქვეთავ(ებ)ი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული, სრულყოფილი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო